# გზაზე

თვალუწვდენელი, შორი, ვრცელი, დაუსაბამო,
ჩუმი, მყუდრო და სევდიანი იყო საღამო.
თოვლზე დაცემულ სისხლის წვეთის მსგავსად მზის რგოლი
ღრუბელთა შორის იშლებოდა სხივ- ანათრთოლი.
ლურჯი ბურუსით ინთქმებოდა ხშირი ტყე- ველი
და მყუდროება იყო ირგვლივ დაურღვეველი.
ამ დროს მომესმა სევდიანი სიმღერა გზაზე:
ეს ხომ მხედარი ოცნებობდა სხვა ქვეყანაზე.
გადაიარა ჩემს თვალთაწინ და მიიმალა,
სამარადჟამოდ გაურკვევი აღმიძრა ძალა.
და მივდიოდი მარტოდ- მარტო სევდიან გზაზე
და ისევ- ისე ვოცნებობდი სხვა ქგეყანაზე.
ლურჯი ბურუსით ინთქმებოდა ხშირი ტყე- ველი
და მყუდროება იყო ირგვლივ დაურღვეველი!